საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2311 2018 წლის 6 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიალი იმართება საქართველოს პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული ცერემონიალის მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად შეიქმნას 2018 წლის 16 დეკემბერს ქ. თელავში გასამართი საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიალის საორგანიზაციო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

კახა კახიშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ჭოლაძე - საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე დარახველიძე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;

ნათია მიქელაძე - საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;

სოზარ სუბარი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში;

ხათუნა თოთლაძე - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

მიხეილ ნინუა - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

ლევან კაკავა - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

თეიმურაზ კუპატაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

ნუკრი გელაშვილი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;

შალვა ჯაბახიძე - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე;

ირინე აბულაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;

ალექსანდრე ბატიაშვილი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე;

ანზორ ჩუბინიძე - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი;

ირაკლი ქადაგიშვილი - სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი კახეთის მხარეში;

ზურაბ დარჩიაშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის დირექტორი;

ბაია ცანავა - საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის წარმომადგენელი;

მაია თაბაგარი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის წარმომადგენელი;

გიორგი მირცხულავა - საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის წარმომადგენელი;

- **გიორგი სალაყაია** - საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის წარმომადგენელი;

ირაკლი ჩიქოვანი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

3. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

ანა გოჩაშვილს - საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსს;

თამარ ყოლბაიას - საქართველოს პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს;

შოთა გოშაძეს - საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილეს;

მამუკა გონგაძეს - საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს;

სოფიო ხუნწარიას - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს;

შოთა ნარეკლიშვილს - თელავის მუნიციპალიტეტის მერს;

ლაშა ჟვანიას - საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის წარმომადგენელს.

4. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს

მთავრობის ადმინისტრაციას წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის დეპარტამენტის წარმომადგენლის კანდიდატურა.

5. კომისია:

ა) შეიმუშავებს საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიალის სამოქმედო გეგმას (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) და დასამტკიცებლად წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფების შექმნას სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის;

- გ) უფლებამოსილია კომისიის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები.

6. დაევალოს:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის არსებობისას საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის წარმოდგენა;

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებს, საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, კომისიასთან კოორდინირებულ რეჟიმში თანამშრომლობა და ფიცის დადების ცერემონიალის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ცერემონიალის შეუფერხებელი ჩატარების მიზნით საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების გატარება;

დ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ფიცის დადების ცერემონიალზე დასასწრებად ჩამოსული უცხოელი მაღალი რანგის

სტუმრებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან მჭიდრო კომუნიკაცია;

ე) სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელების პროცესში ხელშეწყობა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

7. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულმა სუბიექტებმა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია საქართველოს მთავრობას წარმოუდგინონ საქართველოს მთავრობის რეგლამენტით დადგენილი წესით.

8. ეთხოვოთ თელავის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიებს ფიცის დადების ცერემონიალის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება და ამ მიზნით კომისიასთან კოორდინირებულ რეჟიმში თანამშრომლობა.

9. სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაცია უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ.

10. განკარგულება ძალაშია 2018 წლის 5 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**